

შ.პ.ს „სატისი“-ის მიერ 2020 წელს გაწეული სამუშაოების ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით 2016 წლის 11 იანვარს დაფუძნდა სოფლის წყალმომარაგების კომპანია შპს „სატისი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 100%-იანი ფლობით.

კომპანიის 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 600 000 ლარს.

წლის განმავლობაში ტექნიკური სამსახურის მიერ კომპანიის ბალანსზე რიცხულ წყალმომარაგების ქსელზე აღმოფხვრილი იქნა 135 დაზიანება, ასევე სოფ. ბახვში 24 დაზიანება, სოფ. ლიხაურში 13 დაზიანება და ანასეულის დასახლებაში 18 დაზიანება.

კომპანიის ლაბორატორიის მიერ ჩატარდა, როგორც სათავე ნაგებობაზე, ასევე გამანაწილებელ ქსელში წყლის ხარისხის კვლევა - 112 ანალიზი.

შემოსავლების სამსახურის მიერ მიმდინარეობს კომპანიის ბალანსზე გადაცემული სოფლების ბილინგის ბაზის რეგულარული განახლება.

გადაილუქა სოფ. ჯუმათის. ასკანისა და მზიანის აღრიცხვის კვანძები.

სემეკის რეკომენდაციების შესაბამისად დასრულდა ნატანებისა და ჯუმათის სათავე ნაგებობებზე საქლორატორების მოწყობა საერთო ღირებულებით 17 300 ლარი, მიმდინარეობს წყალმომარაგების ქსელის ხაზობრივი რეგისტრაცია.

2020 წელს კომპანიის მიერ შესყიდული იქნა: ავტოსატრანსპორტო საშუალება ღირებულებით 40 000 ლარი, მარაგი მასალები საერთო თანხით 21 385 ლარი, შეძენილი მომსახურების თანხამ შეადგინა 13678 ლარი.

ძირითადი აქტივები შეადგენს 3 749 178 ლარს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „სატისის“ დირექტორი

ნოდარ თოიძე